



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011745714323920

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

300271

03 / სექტემბერი / 2020 წ.

გადანყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 307269/17; **თარიღი:** 22.08.2020 წ.

დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 318960/17; **თარიღი:** 31.08.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრების ავტორი: რამაზან ალიხანოვი (პირადი ნომერი 62003004783).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამეგრელოს რეგიონული ოფისი (შემდგომში - „სამეგრელოს რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: რეგისტრაციის შესახებ № 882020397051-07 (24.07.2020 წ.), №882020397020-07 (24.07.2020) და დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვა ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ № 284451 (25.08.2020) გადაწყვეტილებები, ასევე სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020537042-05 (19.08.2020), № 882020537042-07 (30.08.2020) და № 882020537022-06 (19.08.2020) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრების ავტორის მოთხოვნა: რეგისტრაციის შესახებ №882020397051-07 (24.07.2020 წ.), №882020397020-07 (24.07.2020) და დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვა ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ № 284451 (25.08.2020) გადაწყვეტილებების, ასევე სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020537042-05 (19.08.2020), № 882020537042-07 (30.08.2020) და № 882020537022-06 (19.08.2020) გადაწყვეტილებების გაუქმება და მოთხოვნილი უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთების მისამართი: ხობის მუნიციპალიტეტი, საკრებულო პირველი ხორვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში; ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 307269/17 და № 318960/17 ადმინისტრაციული საჩივრების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ


მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს წარმობაში რამაზან ალიხანოვის (პირადი ნომერი 62003004783) №307269/17 და №318960/17 ადმინისტრაციული საჩივრები სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020537042-05 (19.08.2020), №882020537042-07 (30.08.2020) და №882020537022-06 (19.08.2020) გადაწყვეტილებების გაუქმებისა და მოთხოვნილი უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის ნაწილში;
 2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრების განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნეს: ქორდიკო გერგაია (პირადი ნომერი 58001012881);
 3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს: ქორდიკო გერგაიას (პირადი ნომერი 58001012881) და სამეგრელოს რეგიონულ ოფისს;
 4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;
 5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
 6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
 7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
- წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

ვახტანგ ბოხაშვილი